საქართველოს კანონი
პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. პატიმრობის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №12, 24.03.2010, მუხ. 49) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 – 2^2 ნაწილი:
„2^1. ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, სატელეფონო საუბარი ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა შესაძლებელია განახორციელოს ბიომეტრული მონაცემების მეშვეობით.
2^2. ამ მუხლის 2^1 ნაწილით გათვალისწინებული ბიომეტრული მონაცემების დამუშავების წესი და პირობები, ასევე სატელეფონო ზარის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.“.

2. 35-ე მუხლის:
ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებისას და გათავისუფლებისას სავალდებულოა მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაქტილოსკოპირება ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური ბარათი და სიტყვიერი პორტრეტი ბარათის მიხედვით ინახება ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად საქმეში.“;
ბ) მე-2 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 ნაწილები:
„3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პენიტენციური დაწესებულება ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაქტილოსკოპიურ ბარათს უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაქტილოსკოპირების ჩატარებიდან 7 დღის ვადაში.
4. ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაქტილოსკოპირების ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი გადაგზავნის წესი და სხვა დამატებითი საკითხები განისაზღვრება მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.“.

3. 38-ე მუხლის პირველი ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 ნაწილი:
„1^1. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მსჯავრდებულის გათავისუფლებისას სავალდებულოა მისი დაქტილოსკოპირება ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 - მე-4 ნაწილების შესაბამისად.“.

4. 71^6 მუხლის მე-5 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 ნაწილი:
„6. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გათავისუფლებისთვის მომზადების, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.“.

5. 72-ე მუხლის მე-11 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 ნაწილი:
„12. ამ მუხლის 3^3 ნაწილით გათვალისწინებული ქალთა სპეციალური დაწესებულების დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.“.

6. 75-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ბრალდებულის პატიმრობის დაწესებულებაში მიღებისას აუცილებელია მისი ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაქტილოსკოპირება ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით. ფოტოსურათები და მათი ნეგატივები, აგრეთვე დაქტილოსკოპიური ბარათი, სიტყვიერი პორტრეტი ბარათის მიხედვით ინახება ბრალდებულის პირად საქმეში.
3. ბრალდებულის დაქტილოსკოპიურ ბარათს პატიმრობის დაწესებულება უგზავნის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, დაქტილოსკოპირების ჩატარებიდან 7 დღის ვადაში.“.

7. 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 ნაწილი:
„4. ბრალდებულის გათავისუფლებისას აუცილებელია მისი დაქტილოსკოპირება ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 - მე-4 ნაწილების შესაბამისად.“.
8. 82-ე მუხლის:
ა) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$მ^1$“ და „$მ^2$“ ნაწილები:
„$მ^1$) კუთვნილი ვიდეოპაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ;
$მ^2$) კუთვნილი ხანგრძლივი პაემნის აკრძალვა არა უმეტეს წელიწადში 6-ჯერ“;
ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“, „ი“, „მ“ - „$მ^2$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებების ერთდროულად შეზღუდვა.“.

მუხლი 2
1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მუხლი 3
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი